



ჯანდაცვის
მსოფლიო
ორგანიზაცია



საქართველოს
ეპიდემიოლოგთა და
ინფექციის კონტროლის
საქვეყნო ცენტრი

გადაარჩენა სიცოცხლე
ჩაიტარე ხელის ჰიგიენა

რა არის "ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა?" ზოგჯერ ანტიბიოტიკი, რომელიც წარსულში გარკვეული ტიპის ბაქტერიულ ინფექციებს უმკლავდებოდა, დღესდღეობით აღარ მუშაობს ისევე ეფექტურად. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბაქტერიები იძენენ ახალ თვისებებს და ვეღარ ხერხდება მათზე არსებული ანტიბიოტიკებით ზემოქმედება, შესაბამისად ისინი ვეღარ უმკლავდებიან ამ ბაქტერიით გამოწვეულ ინფექციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაქტერია ხდება რეზისტენტული და აგრძელებს გამრავლებას ორგანიზმში ანტიბიოტიკის მიღების დროსაც კი. ამას ეწოდება ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა და, როგორც წესი, გამოწვეულია ანტიბიოტიკების გადაჭარბებული და არასწორი გამოყენებით.

როგორ ხდება ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიები ჩვენს ორგანიზმში? ინფექციები შეიძლება განვითარდეს მაშინ, როდესაც არსებობს რეზისტენტული ბაქტერიების პაციენტის სხეულში „შესასვლელი კარი“. როგორც წესი, ორგანიზმში ინფექციის შეღწევა ხდება კანის დაზიანების გზით, როგორცაა ქირურგიული ჭრილობა ან ინტრავენური კათეტერი. ამის ყველაზე სავარაუდო გზაა სხეულის კონკრეტულ „უბანზე“ დაუმუშავებელი ხელებით შეხება. ჯანდაცვის დაწესებულებებში, სადაც ანტიბიოტიკების გამოყენების მაჩვენებელი მაღალია და ცუდად რეგულირდება მათი გამოყენება, ბაქტერიები უფრო რეზისტენტულნი ხდებიან ანტიბიოტიკების მიმართ და შეუძლიათ გამოიწვიონ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები, რომელთა მკურნალობა ბევრად უფრო რთულია.

აღინიშნება თუ არა ანტიბიოტიკების რეზისტენტობა როგორც კლინიკებში ასევე საზოგადოებაში? ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა არის მსოფლიო პრობლემა, რომელიც გვხვდება როგორც კლინიკებში, ასევე საზოგადოებაში.

რატომ უნდა გადელვებდეთ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიების არსებობა? ანტიბიოტიკებით მკურნალობისას ძირითადად ნადგურდებიან ინფექციის გამომწვევი ბაქტერიები, მაგრამ ამ დროს ორგანიზმში შესაძლოა ჩამოყალიბდეს და გამრავლდეს რეზისტენტული ბაქტერიები, რაც ართულებს ინფექციების მკურნალობას ხელმისაწვდომი ანტიბიოტიკებით. ამ ინფექციებმა შეიძლება სერიოზული ზიანი და სიკვდილიც გამოიწვიონ. ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიები ადვილად ვრცელდება დაუცველ პაციენტებში. ისინი ასევე შეიძლება გავრცელდეს თქვენი ოჯახის წევრებზე ან თანამშრომლებზე. ეს არის მთელს მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის შემფოთების საგანი, რადგან სულ უფრო მეტი ბაქტერია ავითარებს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობას, თუმცა ინფექციების სამკურნალოდ ხელმისაწვდომი ანტიბიოტიკების რაოდენობა მცირდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თქვენ ან თქვენი

ოჯახი შეიძლება დაინფიცირდეთ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიით, რომელიც განთავსდება თქვენს კანზე ან ნაწლავში რაიმე ზიანის მიყენების გარეშე, მაგრამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვების დაინფიცირება.

პაციენტებისა და მომხმარებლებისთვის ჯანმო-სგან მოწოდებული ინფორმაცია

რა ღონისძიებები უნდა გაატარონ ჯანდაცვის მუშაკებმა პაციენტებში რეზისტენტული ბაქტერიების მოხვედრის შესაჩერებლად?

პასუხი მარტივია: ხელის ჰიგიენა!

არის ძირითადი მომენტები, როდესაც ჯანდაცვის მუშაკმა უნდა ჩაიტაროს ხელის ჰიგიენა (დაბანა ან დამუშავება), რათა დაიცვას პაციენტი რეზისტენტული ბაქტერიებისგან:

სანამ ჯანდაცვის მუშაკი პაციენტს პირველად მიუახლოვდება

მომენტი 1, პაციენტთან შეხებამდე.

მაგალითად, გამოკვლევის ჩატარებამდე ან დაგეხმარება გადაადგილებაში.

ასეპტიკური პროცედურის წინ

პაციენტთან პროცედურის დაწყებამდე, რომელიც მოიცავს დაზიანებულ ლორწოვან გარსებთან ან სხეულის ნაწილთან პირდაპირ შეხებას. მაგალითად, ჭრილობების შეხვევის, საშარდე კათეტერის ჩასმის, პირის ღრუს მოვლის და ინტრავენური კათეტერის შეყვანის დროს.

რა შეუძლიათ გააკეთონ პაციენტებმა სამედიცინო დაწესებულებაში ანტიბიოტიკების რეზისტენტობის შესამცირებლად?

პაციენტებს კლინიკებში ყოფნისას შეუძლიათ შეაჩერონ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიების გავრცელება ხელის ჰიგიენის დაცვით

- ა) სანამ შეეხებიან საკუთარი ჭრილობის სახვევს ან ინტრავენურ კათეტერს;
- ბ) სხვა პაციენტებთან შეხების შემდეგ;
- გ) ტუალეტით სარგებლობის შემდეგ.

პაციენტებს ასევე შეუძლიათ ეს საკითხი განიხილონ სამედიცინო პერსონალთან, თავაზიანად ჰკითხოთ მათ ჩაიტარეს თუ არა ხელის ჰიგიენა მათთან შეხებამდე და პროცედურების ჩატარებამდე - ჯანმო-ს აქვს ამის შესახებ დოკუმენტი. (http://www.who.int/gpsc/5may/5may2013_patient-participation/en/)

თქვენთვის ზოგადი მოწოდება მოქმედებისკენ

- თავიდან აიცილეთ დაინფიცირება გაჯანსაღების გზით (მაგ. ჯანსაღი დიეტით და ჰიგიენის დაცვით), რათა არ დაგჭირდეთ ანტიბიოტიკები.
- თავიდან აიცილეთ დაინფიცირება ხელის ჰიგიენის რეგულარული დაცვით ყველგან: სახლში, სკოლაში, ოფისში, სავარჯიშო დარბაზში და სხვა.
- ნება მიეცით თქვენს ექიმს თვითონ დაგინიშნოთ თქვენი ინფექციის შესაბამისი ანტიბიოტიკი. არ

მოითხოვთ ანტიბიოტიკები, რადგან ჩვეულებრივ, ისინი არ მოქმედებენ ვირუსულ ინფექციებზე.

- თუ ინიშნება ანტიბიოტიკები, ყოველთვის იკითხეთ, როგორ დაეხმარება ეს წამალი თქვენს ამჟამინდელ დაავადებას.
- **პაციენტებისა და მომხმარებლებისთვის ჯანმო-სგან მოწოდებული ინფორმაცია**
მიიღეთ ანტიბიოტიკები ექიმის ან ფარმაცევტის დანიშნულებით და არ გამოტოვოთ ან შეწყვიტოთ მათი მიღება, მაშინაც კი, თუ თქვენ თავს უკეთესად იგრძნობთ.
- არ დაზოგოთ და შეინახოთ ანტიბიოტიკები სხვა დაავადებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა რამდენიმე ინფექციის მიმდინარეობა ჰგავდეს ერთმანეთს, ისინი შეიძლება არ იყოს ერთნაირი. არ გაუზიაროთ თქვენთვის გამოწერილი მედიკამენტები სხვებს - ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი არასწორად გამოყენება და გააადვილოს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა. ანტიბიოტიკები ძლიერი მედიკამენტებია და შეუძლიათ გამოიწვიონ უარყოფითი გვერდითი მოვლენები.
- დაარწმუნეთ თქვენი ოჯახის წევრები და მეგობრები, რომ ანტიბიოტიკები მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში მიიღონ.

წაიკითხეთ მეტი ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ აქ :<http://www.who.int/drugresistance/en/> and read more on hand hygiene in health care at <http://www.who.int/gpsc/5may/en/>